დანართი 3

თანამშრომელთა ანაზღაურების წესი სასპონსორო ან სარეკლამო დამკვეთის მოზიდვის შემთხვევაში

მიზანი: განისაზღვროს თანამშრომლეის ანაზღაურების წესი, მათ მიერ სარეკლამო და სასპონსორო შემოსავლების მოზიდვის შემთხვევაში.

წესი ვრცელდება ყველა თანამშრომელზე.

1. **რა შემთხვევაში მიიღებს თანამშრომელი ანაზღაურებას**
    - ყველა თანამშრომელი, ვინც უზრუნველყოფს სარეკლამო ან სასპონსორო ხელშეკრულების ხელმოწერას, უფლებამოსილია მიიღოს საკომისი.
    - თანამშრომელი უნდა იყოს პირდაპირ ჩართული მოლაპარაკებებში და სპონსორობის კონტრაქტის მიღებაში, უნდა შეეძლოს საქმიანი მიმოწერის წარმოდგენა მოთხოვნის შემთხვევაში.
2. **საკომისიო**
    - სასპონსორო ან სარეკლამო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 10% (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით).
3. **გადახდის პირობები:**
    - კომისიის გადახდა განხორციელდება სპონსორობის თანხის მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.
4. **შესრულების მონიტორინგი:**
    - სავარაუდო დამკვეთთან მოლაპარაკების დაწყებამდე, თანამშრომელი ვალდებულია აცნობოს კომერციულ სამსახურს დამკვეთის შესახებ.
    - თანამშრომელი ვალდებულია მოლაპარაკება აწარმოოს კომერციული სამსახურის მიერ შემუშავებული სასპონსორო და სარეკლამო წინადადების და დადგენილი ფასების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება დამკვეთთან არ გამოფრმდება.
    - ნებისმიერი ტიპის ცვლილება, ფასდაკლება, დამატებითი შეთავაზებები უნდა შეთანხმდეს კომერციულ სამსახურთან.
    - დამკვეთთან ხელშეკრულების გაფორმების უფლებამოსილება აქვს კომერციულ სამსახურს.